ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7332725

ნომერი: AR11069914

თარიღი : 11.12.2024

გაცემის თარიღი : 25.12.2024

გაცნობის თარიღი : 25.12.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N91;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯანიაშვილი პ/ნ 01017033100
- თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 11 დეკემბრის №AR11069914 განმეორებითი განცხადება რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6833229 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №7324816 ბრძანებით,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ არის გამოსწორებული. კერძოდ, ამჟამად წარმოდგენილ გეგმებზე შეცვლილია გეგმარება (მაგ.: IV ბლოკის ყველა გეგმაზე შეცვლილია კარის ღიობის ფორმა). ამასთან, ზოგიერთ გეგმაზე აღარ არის დაფიქსირებული ზოგიერთი ფართის ფართობი (მაგ.:კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი).
ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ 2024 წლის 28 თებერვლის №6910663 ბრძანებით სამსახურის 2024 წლის 08 იანვრის №6833229 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა წარმოადგენილ იქნეს სამსახურის 2024 წლის 8 იანვრის №6833229 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების სრულად იდენტური მხოლოდ ის გეგმები რომლებზეც ზუსტდება ფართობები. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.
ვინაიდან, სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №7324816 ბრძანებას გაეცანით 2024 წლის 18 დეკემბერს, ხოლო სამსახურს განმეორებით მომართეთ 2024 წლის 24 დეკემბერს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 26 (ოცდაექვსი) სამუშაო დღე.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 26 (ოცდაექვსი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2024 წლის 11 დეკემბრის №AR11069914 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.